საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №225/ნ
2012 წლის 11 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანების (სსმ, 117, 15/09/2010 სარეგისტრაციო კოდი 040030000.22.022.016001) მე-2 პუნქტით დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-8 მუხლის ,,ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ) ხელს უწყობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელების პროცესში ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას;''

ბ) მე-8 მუხლის ,,ლ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ნ-პ“ ქვეპუნქტები:

,,ნ) ავტორიზაციის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე, საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლის შესახებ ინფორმაციას აწვდის საგანმანათლებლო დაწესებულებას;

ო) საავტორიზაციო და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელებამდე, მონიტორინგის სამსახურს აწვდის ინფორმაციას აღნიშნული ვიზიტის შესახებ;

პ) მონიტორინგის სამსახურს აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების წლიური ანგარიშის წარმოუდგენლობის ან დაგვიანებით წარმოდგენის თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.“;

დ) 11^2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ზ“ და ,,თ'' ქვეპუნქტები:

,,ზ) უფლებამოსილია განახორციელოს საავტორიზაციო და სააკრედიტაციო ვიზიტის მონიტორინგი;

თ) უფლებამოსილია მონიტორინგის განხორციელების პროცესში შეისწავლოს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები.''.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **ხატია დეკანოიძე**